


# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC)

## 2013-2022 წლების ძირითადი მიღწევები

## და სამომავლო ხედვა

ამირან გამყრელიძე

გენერალური დირექტორი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი

- ლუგარის ცენტრის სრული ფუნქციური ინტეგრაცია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ორგანიზაციულ სტრუქტურაში (2013)

- ლუგარის ცენტრის განვითარება - გენომიკური კვლევები; ზოგადი ბაქტერიოლოგიისა და სეროლოგიის ლაბორატორიების საერთაშორისო ISO15189 აკრედიტაცია; ვირუსოლოგიური ლაბორატორიების (პოლიომიელიტის, გრიპის, წითელა–წითურას) ჯანმოს მიერ აკრედიტაცია და ყოველწლიური რეაკრედიტაცია; ჰეპატიტებისა და სხვა მიმართულებები; რეფერალური ლაბორატორია და EQA პროვაიდერი; ლაბორატორიული ხარისხის გარე კონტროლის ეროვნული პროგრამა; ახალი ვირუსების აღმოჩენა/იდენტიფიცირება მსოფლიო და საქართველოს მასშტაბით; წამყვანი როლი კოვიდ-19-ის ლაბორატორიულ და გენომიკურ პასუხში








# ცენტრის როლი COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირებაში

- COVID-19-ის პანდემიის მართვაში ერთ-ერთი წამყვანი ეროვნული ორგანიზაცია:

  - ეპიდზედამხედველობა; ეპიდ-მაჩვენებლების უწყვეტი კონტროლი
  - კონტაქტების მიდევნება
  - ლაბორატორიული დიაგნოსტიკა
  - ყოველდღიური ანგარიშგება საკოორდინაციო საბჭოსთან
  - მტკიცებულებებზე დამყარებული რეკომენდაციები
  - სამეცნიერო კვლევები (ბუნებრივი + ვაქცინით შეძენილი იმუნური ფენის შეფასებითი მაჩვენებელი 85%)
  - ვაქცინაციის სისტემის გამართვა
  - ანალიზი და კვარტალური მიმოხილვები
  - საერთაშორისო ანგარიშგება






# გადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის შემცირება

- გადამდები დაავადებების შეკავების მიზნით რეაგირების გეგმებისა და სტრატეგიების დამტკიცება: ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე; ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული სტრატეგია; ტბ და აივ სტრატეგიები; ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სტრატეგია; ებოლას ვირუსით გამოწვეული დაავადების; ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების; ცოფის პრევენციის; ზიკა ვირუსის ზედამხედველობის სისტემა
- შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის საქართველოსთვის გამოყოფილი გრანტების ძირითადი მიმღები ორგანიზაცია (2013 წლიდან); აივ-შიდსის პრევენციული სისტემის შექმნა და სერვისების გაფართოება; ტბ ყველა ფორმის გავრცელების მკვეთრი კლება (2012 - 100.8 / 100 000 მოსახლეზე, 2020 - 49.2 / 100 000 მოსახლეზე); წითელას ეპიდაფეთქების მართვა; წითურას ელიმინაცია; ცოფის ერთეულ შემთხვევებამდე დაყვანა (2015-2017 და 2020 წლებში ცოფის ნულოვანი შემთხვევა); მალარიის ადგილობრივი გადაცემის აღმოფხვრა; პოლიოვირუსის ველური ან ვაქცინადერივატული შტამით გამოწვეული შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებელი; სეზონური გრიპის სიტუაციური მართვა


The European Regional Verification Commission for Measles and Rubella Elimination (RVC)

Georgia

has achieved rubella elimination for the period January 2017 – December 2019.

17 September 2020

# გადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის შემცირება

- C ჰეპატიტის ელიმინაციის ფლაგმანი პროგრამის დანერგვაში ერთ-ერთი წამყვანი როლი (2015)
    - საქართველო აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყნად მსოფლიო მასშტაბით
    - საქართველოს მიენიჭა ვირუსულ ჰეპატიტებთან ბრძოლის სანიმუშო ქვეყნის საპატიო ტიტული - Center of Excellence (2019)
    - პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულია მოზრდილი მოსახლეობის 80%
    - მკურნალობაში ჩაერთო ~79000 ადამიანი, განკურნების მაჩვენებელი - 98.8%
    - 6 წლის მანძილზე ქრონიკული C ჰეპატიტის გავრცელების 67%-ით შემცირება

- სისხლის ინფექციებზე კონტროლის უმაღლესი სტანდარტი
    - ყველა სისხლის ბანკის ცენტრალიზებულ NAAT კვლევაში ჩართვა
    - უსაფრთხო სისხლის ახალი კანონმდებლობის შემუშავება
    - სისხლის დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბება
    - უანგარო სისხლის დონორობის ზრდა 5%-დან 41%-მდე



# იმუნიზაცია

- იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის განვითარება:
  2012 - 4 მლნ ლარი
  2021 - > 34 მლნ ლარზე

- გამართული „ცივი ჯაჭვის“ ინფრასტრუქტურა ვაქცინების ხარისხის შენარჩუნებისა და შენახვა-დისტრიბუციისთვის ქვეყნის მასშტაბით
  - რეგიონების
  - მუნიციპალიტეტების
  - სოფლის ექიმების ამცრელი კაბინეტების დონეზე

- 6 ახალი ვაქცინის დამატება იმუნიზაციის კალენდარში

- გრიპის პრევენციული ვაქცინაციის რეგულარულად დანერგვა 2014 წლიდან; ყოველწლიური მოცვის მაჩვენებლის ზრდა

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი

| ასაკი / ვაქცინა | 0-12 საათი | 0-5 დღე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 12 თვე | 18 თვე | 5 წელი | 14 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| B ჰეპატიტი (ჰეპB /Hep B) | x | | | | | | | | |
| ბცჟ (BCG) | | x | | | | | | | |
| დყტ+ B ჰეპ +ჰიბ+იპვ (ჰექსა/DPaT+HepB+Hib+IPV) | | | x | x | x | | | | |
| პნევმო/PCV | | | x | | x | x | | | |
| როტა/Rota | | | x | x | | | | | |
| წითელა, წითურა, ყბაყურა (წწყ/MMR) | | | | | | x | | x | |
| დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი (დყტ/DPT)* | | | | | | | x | | |
| პოლიომიელიტი ორალური (ოპვ/OPV) | | | | | | | x | x | |
| დიფთერია-ტეტანუსი (DT) | | | | | | | | x | |
| ტეტანუსი-დიფთერია (Td)* | | | | | | | | | x |
| ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ /HPV) | გოგონების ასაკი | | | აცრის ჯერადობა | | | აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი | | |
| | 10 -11 - 12 წელი | | | 2 | | | 6 თვე | | |

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)



# არაგადამდები დაავადებებით განპირობებული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის შემცირება

- არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ეროვნული სტრატეგია 2022-2026 და სამოქმედო გეგმა 2022-2024
- არაგადამდები დაავადებების რისკის ფაქტორების კვლევები STEPs მეთოდოლოგიით (2010, 2016, 2023)
- არტერიული ჰიპერტენზიის მასობრივი სკრინინგი (2017 წლიდან)
- იოდის ეროვნული კვლევა; იოდის ოპტიმალური ნუტრიციული სტატუსის მიღწევა; ქვეყანაში აღმოფხვრილი იოდდეფიციტი
- MICS კვლევა, ტყვიის პრობლემის იდენტიფიცირება
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა "საზოგადოებრივი მოძრაობა ჯანმრთელი საქართველოსთვის" 2015 წლიდან (თამბაქო, ალკოჰოლი, ფიზიკური აქტივობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და სხვ.)
- თამბაქოს კონტროლის გაძლიერება
  - ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
  - თამბაქოს კანონმდებლობის მიღება და აღსრულება
  - თამბაქოს მოხმარების პრევალენტობის კვლევები FCTC 2030, ESPAD, სხვა
  - ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების შემცირების ყოველწლიური დინამიკა
    - ზრდასრულ მოსახლეობაში: 31% -> 28,2%
    - მოზარდებში: 18% -> 11%
    - E-სიგარეტის მოხმარება: 19% -> 7%
    - ჩილიმის მოხმარება: 33% -> 15%






# კლიმატის ცვლილებისა და გარემო ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებულ ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილიანობის პრევენცია

- საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა NEHAP-2 (2018)
- გარემოს დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბება (2020) და ამ მიმართულების მნიშვნელოვნად განვითარება
- ტყვიის სახელმწიფო პროგრამა და სამოქმედო გეგმა 2020-2030 (2019)
- ქიმიურ რისკ ფაქტორთა შეფასების ლაბორატორიის ამოქმედება (2021)



# ზოგადი საკითხები

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ISO9001 აკრედიტაცია
- ავადობისა და სიკვდილიანობის ყველაზე მძიმე ტვირთის მქონე დაავადებათა პრევენციის გაძლიერება
- „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრინციპების დანერგვა და სპეციალური სამსახურის შექმნა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის შესაძლებლობების გაძლიერება; გადაუდებელი ოპერაციული ცენტრის (EOC) ჩამოყალიბება; გარე შეფასებები
- საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში უწყვეტი განათლება / პროფესიული მზადების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების დაწყება


CERTIFICATE OF REGISTRATION

This is to certify that:

National Center for disease Control and Public Health LEPL

9 M. Asatiani Street Tbilisi, 0177 GEORGIA

operates a

QUALITY MANAGEMENT SYSTEM

which complies with the requirements of

ISO 9001:2015

for the following scope

Laboratory tests.

Certificate No: QMS41351

Issued: 18 June 2021

Expires: 12 May 2024

Originally Certified: 13 May 2018

Current Certification: 17 June 2021

JAS-ANZ

IAF

SAI GLOBAL



# საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემაში ახალი სერვისების ამოქმედება

- სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს სკრინინგი
- ახალშობილთა სმენის სკრინინგი
- დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგი
- ორსულთა ინფექციურ დაავადებებზე ტესტირების გაფართოება
- ტყვიის ბიომონიტორინგი


Certificate of Gratitude

Awarded to

National Center for Disease Control & Public Health of Georgia

Tbilisi, Georgia

In appreciation of your contribution to the success of International Lead Poisoning Prevention Week 2018



# ჯანდაცვის ძირითადი ინდიკატორების შემცირება

- 0-5 წ. ბავშვთა სიკვდილიანობა
- მკვდრადშობადობა
- ნეონატალური სიკვდილიანობა
- მოზარდთა ორსულობა
- აბორტების რაოდენობა

# საზოგადოებრივი ჯანდაცვის ელექტრონული ინფორმაციული სისტემების განვითარება

- კიბოს ერთიანი ინფორმაციული სისტემა
- დაბადების რეგისტრი
- დაბადება/გარდაცვალების სისტემის ადმინისტრირება
- სრულად ელექტრონული სტატისტიკური ანგარიშგება
- ელექტრონული რიგების, რეფერალის და ტელემედიცინის სისტემა
- ელექტრონული სწავლებისა და კომუნიკაციის პლატფორმა; Georgia e-Health აპლიკაცია; მარაგების მართვის სისტემა
- სიკვდილიანობის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება - სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი:
  2018 - 54.6%
  2021 - 12.3%



# ცენტრის სამეცნიერო აქტივობა

- გამოქვეყნდა 382 აბსტრაქტი,  203 სტატია, ეპიდ-ბიულეტენის 58  ტომი, 507 საგანმანათლებლო, სატრენინგო და სხვა სახის  მასალა, 27 სახელმძღვანელო, მეთოდური დოკუმენტი, დაიბეჭდა 41 ანგარიში
- დაცულია 16 სადოქტორო დისერტაცია
- საერთაშორისო დონის კონფერენციებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებში 564 თანამშრომლის მონაწილეობა (200 ღონისძიება)
- საერთაშორისო დონის სემინარებში, ტრენინგებში 446 თანამშრომლის მონაწილეობა (195  ღონისძიება)
- ათვისებულია კვლევის 112  ახალი მეთოდი
- მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა თემატიკის 171 პროექტზე




**პუბლიკაციები:**

- ყოველწლიური სტატისტიკური ცნობარი  „ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო"
- ყოველწლიური მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა
- ყოველწლიური ანალიზი „კიბო საქართველოში“
- COVID-19 საქართველოში - 9 გადახედვა
- დაბადების რეგისტრის მონაცემთა ანალიზი
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და სამედიცინო მომსახურების ძირითადი მაჩვენებლები საქართველოს რეგიონებში, სხვ.



# საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება

- BMJ, IHME, CONCORD, ECDC
- ჯანმოს საკონსულტაციო ორგანოებში არჩევა (EB, SCRC, EHMB, European Health Systems Foresight Group დ.ა.შ.)
- CDC-ის რეგიონული წარმომადგენლობის დაფუძნება
- ჯანმოს ვირუსული ჰეპატიტების კოლაბორაციულ ცენტრად დაფუძნების აღიარება
- მაღალი დონის წარმომადგენლობითი ვიზიტები (CDC-ის, ECDC-ის, WHO-EURO-ის, WRAIR-ის, გაეროს ბავშვთა ფონდის, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორები), WHO SCRC-ის სხდომის საქართველოში გამართვა)
- საკანონმდებლო და ინსტიტუციური გაძლიერების ხელშესაწყობად ევროკავშირის ინსტიტუციებთან თანამშრომლობა twinning, TAIEX პროგრამების ფარგლებში, გარემოს ჯანმრთელობის, სისხლის უსაფრთხოების, თამბაქოს კონტროლის, ტრავმატიზმის მიმართულებით
- IANPHI-ის მიერ ონკოლოგიურ დაავადებების საკითხებზე პროექტის აღიარება 2020 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად
- ცენტრის პროექტი ,,საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი“ აღიარებულ იქნა 2021 წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად IANPHI-ის ევროპულ ქსელში






# საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება

- საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის გარდამავალი ერთობლივი შეთანხმების (JTA) „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ მომზადებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის (2014)

- წერილის აშშ სენატორ რიჩარდ ლუგარისგან წარმატებული საქმიანობისა და სამეცნიერო მიღწევებისთვის და აშშ-საქართველოს პარტნიორულ ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის (2017)

- წერილი ჯანმოს ევროპის რეგიონული დირექტორის ჰანს კლუგესგან წარმატებული საქმიანობისა და საუკეთესო თანამშრომლობისათვის (2020)

- აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებმა (CDC) და ტოქსიკური ნივთიერებებისა და დაავადებების აღწერის სააგენტომ (ATSDR) საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას მიანიჭა საპატიო ჯილდო კატეგორიაში – „სანიმუშო პარტნიორობა“

- აშშ-ს CDC-ს დირექტორის მიერ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მაღალი შეფასება (2022)





the Lugar Center

June 12, 2017

Dr. Amiran Gamkrelidze
Director General
National Center of Disease Control and Public Health
9 M. Asatiani st.
Tbilisi 0177, Georgia

Dear Dr. Gamkrelidze:

I deeply appreciate your comprehensive letter of June 5, 2017, and the remarkable publications which you sent to me from the National Center of Disease Control and Public Health.

I thank you, especially, for your statement "The crowning achievement of the US-Georgian collaboration is DTRA's tremendous investment through Nunn-Lugar Cooperative Threat Reduction Program in establishment of Unified Laboratory Surveillance System under the "One Health" concept....and of course, the Richard Lugar Center for Public Health Research – a state-of-the-art biosafety level 3 research facility."

It was great news to learn that due to the decision of the Government of Georgia, in May 2013 the R. Lugar Center of Public Health Research became an integral part of the National Center for Disease Control and Public Health and fully operational in August 2013.

I have thoroughly enjoyed reading the publications which outline extraordinary achievements in Georgia and I look forward to even more careful study in days to come as I attempt to comprehend the extraordinary scope of Georgian activities. The document which describes "Current Activities and Vision for Further Development" provides an inspiring plan for the future.

I am pleased to have had recent contact with the Georgian Embassy in Washington and I look forward to even closer partnership in weeks and months to come. For the moment, I simply want to thank you and your talented associates for truly remarkable achievements and for the promise of achieving so much more in the years immediately ahead. Your leadership will make a great difference for Georgia and for the safety of our world.

Sincerely,

Richard G. Lugar
United States Senator (Ret.)



# ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფა

- ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები:

  2012 - 14 მლნ ლარი

  2021 - 220.7 მლნ ლარი

- სახელმწიფო ბიუჯეტი - 172.5 მლნ ლარი
- დონორი ორგანიზაციების დაფინანსებული პროექტები - 44 მლნ ლარი
- კომერციული საქმიანობა - 4.2 მლნ ლარი

- ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების ღირებულება

  2012 - 2.9 მლნ ლარი

  2021 - 226.2 მლნ ლარი

- ცენტრის შტატით დანიშნული თანამშრომლების საშუალო ანაზღაურება ლარებში 2012–2021 წლებში 3-ჯერ გაიზარდა (ძირითადად მოზიდული პროექტებისა და გრანტების ხარჯზე)



# უახლოესი მომავლის ხედვა (2022-2025)

ბიოსამედიცინო კვლევების დარგში მაღალი დონის რეგიონული მნიშვნელობის დაწესებულება Center of Excellence მრავალი მიმართულებით

გენომის ცენტრის შემდგომი განვითარება, მომზადება გენომის ეროვნული პროექტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის



საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელ საფრთხეებზე მზადყოფნის მუდმივი დახვეწა და EOC სიმძლავრეების გაფართოება

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პირველადი ჯანდაცვის სამსახურების  მაქსიმალური ინტეგრირება/ჰარმონიზაცია, ფრაგმენტაციის შემცირება და სინერგიულად მუშაობის უზრუნველყოფა



COVID-19-ზე გადაუდებელი მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის  შესაბამისი აქტივობების იმპლემენტაცია

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების გაძლიერება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განახლება

# უახლოესი მომავლის ხედვა (2022-2025)

ჯანმოს სათანამშრომლო ცენტრი ანტიმიკრობული რეზისტენტობის და ჰეპატიტების კვლევების მიმართულებით

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის დასრულება, სეროიზული წინსვლები B ჰეპატიტისა და ტყვიის ელიმინაციის პროგრამებში

მუშაობის დაწყება ტუბერკულოზის ელიმინაციაზე

ციფრული ჯანმრთელობა / ელექტრონული სისტემების განვითარება საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში





არაგადამდები დაავადებების მთავარი რისკ- ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლის (თამბაქო, ალკოჰოლი, სიმსუქნე, კვებითი ჩვევები, მარილი და სხვა) და პირველადი პრევენციის მნიშვნელოვნად გაძლიერება

ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის „ჯანმრთელი საქართველოსთვის“ მყარად დამკვიდრება

სამეცნიერო დიპლომატია / კვლევითი პროექტების გაფართოება

პოპულაციური რეგისტრების სისტემის გაფართოება

რეგიონული ტრენინგ-ჰაბი / უწყვეტი პროფესიული განვითარება



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

კახეთის გზატკეცილი N 99

თბილისი, 0198, საქართველო

ტელეფონიe: 116 001

ელ--ფოსტა: ncdc@ncdc.ge

www.ncdc.ge

ფეისბუქი: www.facebook.com/ncdcgeorgia

თვითერი: @NCDCGeorgia